ტესტ-კითხვარი

.....

მსმენელის სახელი გვარი

- π ტესტი შესრულდა სასწავლო პროგრამის დაწყებამდე
- π ტესტი შესრულდა სასწავლო პროგრამის დასრულების შემდეგ

1. ქვემოთ ჩამოთვლილიდან ყველაზე ხშირად რომელი სიმპტომი ვლინდება სხვამხრივ ჯანმრთელ ქალებში საშარდე გზების გაურთულებელი ინფექციების შემთხვევაში?

   a) შარდვის გახშირება და მოშარდვის იმპერატიული სურვილი
   b) ცხელება
   g) ბოქვეზედა მტკივნეულობა
   d) გულისრევა და ღებინება

2. ქვემოთ ჩამოთვლილი უროპათოგენებიდან ყველას აქვს ნიტრატების ნიტრიტებად გარდაქმნის უნარი, გარდა:
   a) Escherichia coli
   b) Proteus spp
   c) Klebsiella pneumoniae
   d) Staphylococcus saprophyticus

3. საშარდე გზების ინფექციებისაგან დამცველ ფაქტორებს მიეკუთვნება ყველა ჩამოთვლილი, გარდა

   a) თუთიით მდიდარი პროსტატის სეკრეტი
   b) პერიურეთრალური ფლორის ლაქტობაცილები
   g) შარდის ბუშტსა და ურეთრაში ბაქტერიების მიმაგრების უნარის მქონე რეცეპტორების სიმცირე
   d) ნონოქსოლინ-9 სპერმიციდის გამოყენება

4. ნიტროფურანტოინის შესახებ ქვემოთ ჩამოთვლილი დებულებებიდან მართებულია ყველა, გარდა

   a) მისი გამოყენება უსაფრთხოა ლაქტაციის დროს
   b) მისი გამოყენება დასაშვებია, როდესაც კრეატინინის კლირენსი<40მლ/წთ-ში
   g) ახასიათებს მოქმედების სპეციფიკური სპექტრი
   d) ზოგავს ნაწლავის ფლორას

5. ქვემოთ ჩამოთვლილი მედიკამენტებიდან ყველა მიეკუთვნება აშშ ორსულებში საკვებისა და მედიკამენტების მოხმარების B კატეგორიას, გარდა

   a) ნიტროფურანტოინი
   b) ციპროფლოქსაცინი
   g) ამოქსიცილინი
   d) ცეფპოდოქსიმი

6. რეპროდუქციული ასაკის არაორსულ ქალებში ან ჯანმრთელ ხანდაზმულებში ასიმპტომური ბაქტერიურია:

   a) საჭიროებს მკურნალობას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაგეგმილია შარდის ბუშტის ინსტრუმენტული გამოკვლევა ან ქირურგიული ჩარევა
   b) საჭიროებს აქტიურ მკურნალობას, სგი-ის გართულებების თავიდან ასაცილებლად
   g) ერადიკაციისთვის საჭიროებს 14 დღიანი ანტიმიკრობული მკურნალობის კურსს
   d) ზრდის პიელონეფრიტის რისკს

7. თუ პიურიას თან ახლავს დიზურია და საშარდე გზების ინფექციების სხვა სიმპტომები, შარდის 1 მლ-ში ბაქტერიების რა რაოდენობა ადასტურებს საშარდე გზების ინფექციის დიაგნოზს

   ა) 10^2
   ბ) 10^3
   გ) 10^4
   დ) 10^5

8. როგორია ორსულებში ასიმპტომური ბაქტერიურიის გამოვლენისთვის შარდის შუალედური პორციის გამოკვლევის მგრძნობელობა?

   a) 50%
   b) 60%
   g) 70%
   d) 80%

9. საშარდე გზების გაურთულებელი ინფექციების სამკურნალოდ, რეციდივის თავიდან აცილებისა და ბაქტერიურიის კორეგირების მიზნით ტრიმეტოპრიმ-სულფამეტოქსაზოლითა და ქინოლონებით მკურნალობის კურსის მინიმალური ხანგრძლივობაა:

   a) ერთჯერადი დოზის მიღება
   b) სამ დღიანი კურსი
   g) ოთხიდან შვიდ დღემდე მკურნალობის კურსი
   d) სულ მცირე შვიდი დღე

10. რამდენ ხანს უნდა გაგრძელდეს 45 წლის სხვამხრივ ჯანმრთელი ქალბატონის მკურნალობის კურსი მწვავე პიელონეფრიტის გამო:
    a) 3-5 დღე
    b) 5-7 დღე
    g) 7-10 დღე
    d) სულ მცირე 14 დღე

სწორი პასუხები ტესტებზე:

1. პასუხი-ა
2. პასუხი-დ
3. პასუხი: დ
4. პასუხი: ბ
5. პასუხი: ბ
6. პასუხი: ა
7. პასუხი: ა
8. პასუხი: დ
9. პასუხი: ბ
10. პასუხი: გ